სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
ს ე ნ ა ტ ი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
რუსთაველის ქ. №53

ტელ/ფაქსი: +995 (422) 27 48 50
ელ. ფოსტა: info@bsma.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13/7

ქ. ბათუმი

2019 წლის 28 ივნისი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებისათვის დამატებითი საზაფხულო სემესტრის დადგენის შესახებ

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 2[1] პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის საფუძველზე სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატმა

გადაწყვიტა:

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის დადგინდეს დამატებითი საზაფხულო სემესტრი.
2. დამატებითი საზაფხულო სემესტრში F შეფასების მქონე სტუდენტებს მიეცეთ არაუმეტეს 10 კრედიტის ოდენობით დავალიანებული სასწავლო კურსების რეგისტრაციისა და ათვისების უფლება.
3. სტუდენტებს, რომლებსაც საბაკალავრო პროგრამის სრულად დასრულებისათვის დარჩენილი აქვთ 15 კრედიტი აკადემიური დავალიანება, მიეცეთ საზაფხულო სემესტრში სასწავლო კურსების რეგისტრაციისა და ათვისების უფლება.
4. დამატებით საზაფხულო სემესტრისათვის სტუდენტთა რეგისტრაცია იწარმოოს 2019 წლის 29 ივლისიდან 02 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში.
5. დამატებითი საზაფხულო სემესტრის ვადები განისაზღვროს 2019 წლის 05 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე პერიოდი.
6. დამატებით საზაფხულო სემესტრში სწავლის დაწყების საფუძველია შესაბამისი სასწავლო ჯგუფების შედგენა.
7. გადაწყვეტილება გაცნობის მიზნით და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტსა და სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტს.
8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სენატის თავმჯდომარე,

რექტორი **ირაკლი შარაბიძე**